პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 243
(6554)
20
1979 წ.
დეკემბერი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

უმაღლესი
ლიგა

მოსკოვი ელის...

სულ უფრო ახლოვდება ის დღე, როცა მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნება XXII ოლიმპიური თამაშები. გაისად, ივლისში მოსკოვის სპორტულ სარბიელზე გამოვლენ ყველა კონტინენტის სპორტსმენები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული 135 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან 123-მა უკვე განაცხადა თამაშებში მონაწილეობის მიღების თანხმობა.

ოლიმპიადა-80-სთვის მზადების თაობაზე საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს მოუთხრო საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **ს. პავლოვმა** 18 დეკემბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

— გვჯერა, რომ მოსკოვის თამაშები ოლიმპიური მოძრაობის განვითარების, ოლიმპიური ქარტიის იდეალებით დამტკიცებული სპორტის დახმარებით ახალგაზრდების ურთიერთგაგებისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების ახალი ეტაპი იქნება, — თქვა ს. პავლოვმა, ჩვენი ამოცანაა, ჩავატაროთ ეს მსოფლიო ასპარეზობა ოლიმპიზმის საუკეთესო ტრადიციების დონეზე, რათა შემოქმედებითად გავავითაროთ და გავამდიდროთ იგი.

პარტიისა და მთავრობის, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოსკოვის ოლიმპიადისთვის ყოველდღიური ზრუნვა, მისი მომზადების საქმეში მშრომელთა ფართო მასების დიდი წვლილი იმის გარანტიას იძლევა, რომ მოსკოვი, აგრეთვე, ტალინი, ლენინგრადი, კიევი და მინსკი ოლიმპიურ ასპარეზობებს ჩაატარებენ შესაფერის დონეზე, — განაცხადა ს. პავლოვმა.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მთლიანად მხარი დაუჭირა ოლიმპიური სარბიელების აგებასა და რეკონსტრუქციაში ოლიმპიადა — 80-ის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემუშავებულ პრინციპებს. ეს დიდი სპორტული ნაგებობები, ტურისტული, ტექნიკური კომპლექსები და კულტურული ცენტრები ოლიმპიადის შემდეგ წლების მანძილზე მოემსახურება საბჭოთა ადამიანებს, მოსკოველებისა და დედაქალაქის სტუმრებს, მოსკოვში ჩატარებული მრავალრიცხოვანი შეჯიბრებების მონაწილეებს.

სსრ კავშირში მასობრივ ფიზკულტურულ მოძრაობასა და დიდ სპორტში ჩაბმული 100 მილიონი კაციდან 500 უძლიერესი გამოვა მოსკოვის ოლიმპიადის სტარტებში, ხოლო ლეიკ-პლესიდის თამაშებში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა ქვეყნის 180 წარმომადგენელი.

ოლიმპიელები თბილისში

მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის ინტენსიურად ემზადებიან ჩვენი ქვეყნის მძლეოსნები.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრები რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელების **ვ. მასლიაკოვისა** და **გ. ჟუბრიაკოვის** ხელმძღვანელობით ამას წინათ თბილისში ჩამოვიდნენ და აქ „დინამოს“ სტადიონზე, „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში, თბილისის ზღვის მიდამოებში თითქმის ყოველდღე ვარჯიშობენ სხვადასხვა მანძილებზე მორბენლები, მტყორცნელები...

— თქვენებური თბილი ამინდები საშუალებას იძლევა ღია ცისქვეშ წვრთნის სეზონი გავახანგრძლივოთ, — გვეუბნება ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. მასლიაკოვი. — ქვეყნის ოლიმპიურ გუნდს მასპინძლებმა ვარჯიშისა და დასვენებისთვის საჭირო ყველა პირობა შეუქმნეს: ყველგან— „დინამოს“ სტადიონზე, კროსის ბილიკებზე თუ მძლეოსნობის სასახლეში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა, ოლიმპიელებისთვის მუდამ „მწვანე შუქია“.

გ. ჟუბრიაკოვი გვაცნობს ქვეყნის უძლიერეს მძლეოსნებს, რომლებიც ჩვენს დედაქალაქში ვარჯიშობენ:

— მონრეალის ოლიმპიური თამაშების პრიზიორები, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები **ალექსანდრე აქსინინი, ნიკოლოზ კოლესნიკოვი, ვიქტორ მიასნიკოვი, ტატიანა ანისიმოვა, ვერა ანისიმოვა, ნატალია ლებედევა...**

ოლიმპიადის სტარტებისთვის აქვე ემზადება ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი შუბის ტყორცნაში **ს. გუნბაც**, რომელიც თავის მწვრთნელთან **ი. გიგაურთან** ერთად სპეციალური გეგმით მუშაობს.

„განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში ქვეყნის რეკორდსმენს **მ. კულჩუნოვას** მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ:

— თბილისში პირველად როდი ვარ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს დედაქალაქში მძლეოსნობის მოყვარულები უკვე კარგად მიცნობენ „დინამოს“ სტადიონზე ბოლო ორ სეზონში გამართული შეჯიბრებების შედეგებით. სიამოვნებით შევხვდით ცნობას შეკრების ადგილად თბილისის არჩევის შესახებ. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ოლიმპიადაში ჩვენს წარმატებებში თბილისური მასპინძლობის წილიც იქნება...

თ. ქიქავა,
ქ. ჯიმშელაძე.

სურათებზე: ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა ერთი ჯგუფი „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლისკენ მიემართება; ეს დღეც მოთელვით დაიწყო; (მარცხნიდან) ა. აქსინინი; მ. კულჩუნოვა; ს. გუნბა და მისი მწვრთნელი ი. გიგაური.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ნონას მეორე რევანში

საჭადრაკო ბრძოლაში ყველას, დიდოსტატიდან რიგით მაყურებლამდე, ხიბლავს იერიში, კომბინაციური შეწირვები. ამიტომ იყო, რომ ტაშით შეეგებნენ XI ტურის დამსწრე მაყურებლები ნ. ალექსანდრიას ლამაზ ლაშქრობას ლ. ბელავენეცთან პარტიაში. ქართველმა დიდოსტატმა ფიგურა შეწირა და ორი პერსპექტიული გამსვლელი პაიკი მიიღო. მერე ენერგიული მოძრაობით ისინი მე-7 ჰორიზონტალამდე მიიყვანა, რითაც მთლიანად შებოჭა ბელავენეცის ლაზიერი, ეტლი და ორი კუ. როგორც კი ალექსანდრიამ მხედარი გადმოიყვანა საომარი მოქმედების უბანზე, მოსკოველი ოსტატის პოზიცია უიმედო შეიქმნა. 35-ე სვლაზე ბელავენეცმა დანებების ნიშნად საათი გააჩერა.

ცოტა ადრე გაიმარჯვა ნ. გაფრინდაშვილმა. ე. ახმილოვსკაიამ ვერაფერი გააწყო მისი მოიერიშე ფიგურების წინააღმდეგ და ორი პაიკი დაკარგა. გაფრინდაშვილის ეტლებმა მე-2 ჰორიზონტალი დაიპყრეს და ის იყო უნდა შედგომოდნენ უპირატესობის რეალიზაციას, რომ ახმილოვსკაიამ წინააღმდეგობა შეწყვიტა.

— ესეც ნონას მეორე რევანში, — გვითხრა კმაყოფილებით ქართველი დიდოსტატის ერთმა გულშემატკივარმა. გაკვირვებით რომ შევხედეთ, დასძინა, — ალბათ გახსოვთ ხალხთა წლევანდელ სპარტაკიადაში ნონა დამარცხდა ფატალიბეკოვასა და ახმილოვსკაიასთან. ახლა ორივეს „ანგარიში გაუსწორა“.

...როცა მ. ჩიბურდანიძე — ე. ფატალიბეკოვას პარტიაში მეტოქეებმა როქი სხვადასხვა მხარეს გააკეთეს, ცხადი შეიქმნა, რომ უმძაფრესი ჭიდილი იყო მოსალოდნელი. მოსკოველმა დიდოსტატმა იერიში დაასწრო, მაგრამ ჭადრაკის დედოფალმა დაკვირვებული თამაშით შეანელა იგი და ბრძოლის ქარცეცხლში შეძენილი ზედმეტი პაიკიც შეინარჩუნა.

თითქოს საშიში არაფერი იყო და ჩიბურდანიძემ მეორე პაიკიც მოიგო, მაგრამ ფატალიბეკოვამ მიაგნო თამაშის გართულების გზას — შეუტია მაიას კიდურ პაიკს და პოზიცია ისევ დაიმუხტა.

ამასობაში გაისმა ტურის დამთავრების გონგის ხმა და პარტიაც გადაიდო ასეთ მდგომარეობაში:

ფატალიბეკოვა



ჩიბურდანიძე

41-ე სვლა მსოფლიო ჩემპიონმა ჩაიწერა. ამ პარტიის დამთავრება 24 დეკემბერს შედგება.

XI ტურის სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ი. ლევიტინას თამაში ენდშპილში ლ. ზაიცევასთან. მან საუცხოოდ გამოიყენა თეთრი გვირგვინოსნის უხეირო პოზიცია და დიდი მატერიალური ზარალის გარდუვალობის გამო 45-ე სვლაზე ზაიცევა დანებდა.

სამ გადადებულ პარტიაში ლ. მუჩნიკს ზედმეტი პაიკი აქვს მ. ლიტინსკაიასთან, მწვავე პოზიციაა ვ. კოზლოვსკაია — ა. გრინფელდისა და ტ. ვორონოვა — თ. მინოგინას პარტიებში.

თ. გიორგაძე.

გუშინ

გაიმართა XII ტურის შეხვედრები. საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო ჩიბურდანიძე — გაფრინდაშვილის პარტია. დაძაბული ბრძოლის შემდეგ აღინიშნა ყაიმი. ბელავენეცმა დაამარცხა ახმილოვსკაია, ზაიცევამ — გრინფელდი. სემიონოვა — სტუპინას, ფატალიბეკოვა — კოზლოვსკაიას და პოპივოდა — მუჩნიკის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ამრიგად, XII ტურის შემდეგ ჩიბურდანიძეს 8 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, ლევიტინას — 7 (1), 7-7 ქულითა და 2-2 გადადებული პარტიით მომდევნო ადგილებს იყოფენ გაფრინდაშვილი და ალექსანდრია.

● ჭადრაკი

დაწინაურდა გელერი

მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც მინსკში ტარდება, გუშინწინ XII ტური გაიმართა.

ლიდერთა ხუთეულიდან ყველაზე წარმატებით ე. გელერმა ითამაშა — სძლია კ. ლერნერს და ერთპიროვნულად დაწინაურდა. ორი ლიდერი ყაიმს დასჯერდა: ი. ბალაშოვი მ. ტალთან და ა. იუსუპოვი — ს. დოლმატოვთან. დამარცხდა ვ. კუპრეიჩიკი, რომელსაც კარგ სტილში მოუგო თ. გიორგაძემ. გ. კასპაროვმა გადადო პარტია ი. ანიკაევთან.

დაუმთავრებელი დარჩა ო. რომანიშინ — ვ. ცეშკოვსკის შეხვედრა. არ შედგა ე. სვეშნიკოვ— ა. ბელიავსკის და ნ. რაშკოვსკი — რ. ვაჰანიანის პარტიები.

12 ტურის შემდეგ ე. გელერს 8 ქულა აქვს, ი. ბალაშოვს, ა. იუსუპოვს — 7,5-7,5, გ. კასპაროვს — 7(1), ვ. კუპრეიჩიკს — 7.

● ჰოკეი

დაძაბულ ბრძოლაში

მოსკოვში ლუჟნიკის სპორტის სასახლეში ჰოკეისტთა ტრადიციულ ტურნირზე გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე გუშინწინ საბჭოთა ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია ფინეთის ეროვნულ გუნდს — 6:3.

გუშინ გაიმართა ორი შეხვედრა. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დაამარცხა შვეციის გუნდი — 6:1. სსრ კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდების მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 5:2.

25000 კილომეტრი ველოსიპედით

●

რევოლუციური და საბრძოლო დიდების გზებზე

●



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა ისე, რომ საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს ერთ-ერთ შეჯიბრებაზე მუხლი დაიზიანა. რამდენიმე ოპერაციამ უშედეგოდ ჩაიარა. საქმე მივიდა მოსკოველ პროფესორ ზ. მირონოვამდე. ქირურგს, წარსულში საკმაოდ ცნობილ სპორტსმენს ამნაირი ავადმყოფი სხვაც ბევრი განუკურნავს.

— ყველაფერი შესანიშნავად ჩაივლის, რამდენიმე თვის შემდეგ ველოსიპედით მოსკოვიდან თბილისამდე ჩასვლას შეძლებ! — დაიმედა მირონოვამ ავთანდილ ხითარიძე.

— პროფესორს პირობა მივეცი, რომ ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში მადლობის ნიშნად ხუთ დიდ ველოგადარბენაში მივიღებდი მონაწილეობას და მისი ხელის მადლს ყველას შევატყობინებდი...—გვიამბობს ავთანდილი.

— სამი თვის შემდეგ თავისუფლად დავდიოდი. მერე პირობის შესრულების დროც დადგა და ინტენსიურ წვრთნას შევუდექი. 10 თვის თავზე თბილისიდან გეზი ველოსიპედით მოსკოვისკენ ავიღე.

— სიტყვის კაცი ყოფილხარ. — მითხრა პროფესორმა დედაქალაქში მის სანახავად ჩასული რომ მნახა...

მას მერე თითქმის 15 წელი გავიდა, ხითარიძის ველოსიპედი კი არ ისვენებდა. ჯერ იყო და ი. ბერიაშვილთან ერთად ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიუძღვნა ახალი ველოლაშქრობა თბილისი—ნოსტე—გორი—მოსკოვი. დაუღალავი წყვილი 17 დღეს მოუნდა საბჭოეთის პირველ ქალაქამდე ჩასვლას. ამაზე მაშინ „სოვეტსკი სპორტიც" წერდა და „ლელოც".

ერთი წლის მერე ხითარიძე „ხალხთა მეგობრობის" ველორბოლაში გამოვიდა — დუშანბედან მოსკოვამდე გაიარა 6 ათასი კილომეტრი, რომლის 400 კილომეტრი უდაბნოზე იდო.

— კიდევ ერთი წლის შემდეგ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის იუბილეს მივუძღვენი გადასვლა მარშრუტით თბილისი—ულიანოვსკი, რაც საქართველოს ტელევიზიამ ფირზე აღბეჭდა, — იგონებს ავთანდილი,—ასე თანდათან ვასრულებდი პროფესორისთვის მიცემულ პირობას.

მერე 3 წელიწადს შეისვენა და, როცა სამზადისი დაამთავრა, მარტოდ-მარტო გაუყვა მოსკოვისაკენ მიმავალ გზას. ეს ხითარიძის მეოთხე ლაშქრობა იყო. 1975 წელს კასპის ელექტროაპარატების ქარხნის მუშა აკაკი მანძულაშვილთან ერთად კვლავ ამხედრდა ველოსიპედზე. ამჯერად ამ დუეტის ლაშქრობა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა — 9 მაისს საბჭოეთის დედაქალაქში უცნობი ჯარისკაცის საფლავზე საქართველოდან ჩატანილი მიწა მოაბნიეს.

— თითქმის თორმეტ წელს მოვუნდი ჩემი მხსნელისთვის მიცემული სიტყვის შესრულებას, მაგრამ მაინც გავანაღდე. მერე ბევრჯერ მიფიქრია, რომ ამას საკუთარი ჯანმრთელობისთვისაც ვაკეთებდი და ქვეყნის შესწავლის ინტერესიც მამოძრავებდა. ლაშქრობები ჩვევად გადამექცა. სამოცდათექვსმეტის 17 აპრილს ბაქოდან ავიღეთ სტარტი და ვოლგოგრადის გავლით თბილისში ჩამოვედით, ღონისძიება ვ. ი. ლენინის დაბადების 106 წლისთავს, სკკპ XXV ყრილობასა და 26 ბაქოელი კომისრის ხსოვნას მივუძღვენით. — განაგრძობს თხრობას ხითარიძე...

— უკანასკნელი კი არა, ბოლო! — შემისწორა ავთანდილმა, როცა ვკითხე უკანასკნელი ველოლაშქრობა როდის გქონდათ მეთქი. — ამ საქმის მიტოვებას ჯერ არ ვაპირებ. არაფერი სჯობს, როცა შენი თვალუწვდენელი ქვეყნის სივრცეებს, ქალაქებს, დაბებს, სოფლებს ეცნობი, — მოგვიგო.

...ბოლო ლაშქრობა კი საშვიდნოემბროდ დაუმთავრებიათ. ხითარიძემ და მანძულაშვილმა 42 დღეში 41 ეტაპად დაყოფილი 5500 კილომეტრი დაფარეს ვოლგოგრადიდან (სარატოვის, ულიანოვსკის, ყაზანის, ჩებოქსარის, გორკის, მოსკოვის, ტულის, ოროლის, კურსკის, ბელგოროდის, ხარკოვის, პოლტავის, მირგოროდის, კიევის, ოდესის, ხერსონის, სევასტოპოლის, ქერჩის, ნოვოროსიისკის გავლით) გორამდე. სამოქალაქო და სამამულო ომის დიდების გზებზე სტარტი მამაის ყორღანთან აუღიათ. სად არ იყვნენ, რა არ ნახეს — მოსკოვში კიდევ ერთხელ ეწვივნენ ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმს, ჩებოქსარში დაათვალიერეს ჩაპაევის სახლ-მუზეუმი, მირგოროდში — დ. გურამიშვილის სახლ-მუზეუმი და საფლავი, კურსკში — ამ ქალაქის ცნობილი რკალის მიმადოები, ნოვოროსიისკში იყვნენ მცირე მიწაზე...

მთელი გზა, რაც ველოსიპედით მოლაშქრეებს გაუვლიათ, 25 ათას კილომეტრს საგრძნობლად აჭარბებს.

ამ ლაშქრობასაც ჰქონდა იდეა. იგი კასპის რკინიგზის სადგურის რესტორნის შეფმზარეულმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. ხითარიძემ და მეტეხის აგურის ქარხნის შემდუღებელმა ა. მანძულაშვილმა ი. სტალინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნეს.

ლ. გელაშვილი.

• • •

სურათებზე: მამაის ყორღანის ერთ-ერთ კომპლექსთან სტარტის წინ; უკანასკნელი ლაშქრობის სქემა; შეხვედრა გორში.
თ. ნაფიშვილის ფოტო.

ტუშინოს აეროდრომზე...

21 დეკემბერს სრულდება 100 წლისთავი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დაბადებიდან.

გთავაზობთ ნაწყვეტს ცნობილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე იაკოვლევის წიგნიდან „ცხოვრების მიზანი".

●

პარტიის ცენტრალური კომიტეტი იმ დროს დიდ ყურადღებას უთმობდა ავიაციის კადრების მომზადებას. მას კერძოდ აინტერესებდა, თუ რა და როგორ ვასწავლოთ კადრებს. იგი ყოველმხრივ ახალისებდა თავდაცვა-ავიაქიმიის ყოველგვარ წამოწყებას საავიაციო სპორტის დარგში. და აი, 1935 წლის 12 ივლისს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ცენტრალური აეროკლუბის საჰაერო სპორტსმენთა მიღწევები უჩვენეს.

ჩვენ ყველანი — კონსტრუქტორები, მფრინავები, პლანერისტები, პარაშუტისტები, ავიამოდელისტები — სტუმრების მოსვლამდე კარგა ხნით ადრე შეგვკრიბეს ტუშინოს აეროდრომზე.

ჩვენ ჩვენს ტექნიკასთან — თვითმფრინავებთან, პლანერებთან, მოდელებთან — ერთად ტუშინოს ველის დასავლეთ სექტორში, მდინარე მოსკოვის მოსახვევთან ვიყავით თავმოყრილნი. ყველა დაძაბულად მისჩერებოდა ვოლოკოლამსკის გზატკეცილის მხარეს, სადაც აეროდრომის ალაყაფი იყო. სტუმრების მოლოდინში დაძაბული ყურადღებით შევცქეროდით მოღრუბლულ ცას და დაბალ ღრუბლებს, მათ ჩვენი ზეიმის ჩაშლა შეეძლოთ.

აი, შორს გამოჩნდნენ ერთიმეორის მიყოლებით, უსწორმასწორო მინდორზე რხევით მომავალი მძიმე შავი ავტომანქანები, დანამდვილებით არ ვიცოდით, ვინ გვეწვეოდა. მაგრამ როდესაც ახლო მოსული მანქანებიდან გადმოვიდნენ სტალინი, ვოროშილოვი, კოსარევი და სხვები, ჩვენ მათ მქუხარე ტაშით შევეგებეთ.

ახლად მოსულნი გულთბილად მოგვესალმნენ.

სტალინი პირველად ვნახე ახლოს: დაბალი კაცი იყო, კოვერკოტის ნაცრისფერი ერთბორტიანი პალტო—მაკინტოშში და შევროს რბილი ჩექმები ეცვა, კოვერკოტისვე ქუდი ეხურა.

თავდაცვის სახკომს ვოროშილოვს ჩვენ ჯერ კიდევ 1939 წელს რუძუტაკის აგარაკზე გავეცანით.

გაცხოველებული საუბარი გაიმართა. უეცრად ნინწკვლა დაიწყო და ჩვენ შეგვეშინდა, პროგრამა არ ჩაგვშლოდა. მაგრამ წვიმა მალე შეწყდა და საავიაციო სპორტის ყველა სახის ჩვენება შევძელით.

პირველად პლანერისტებმა დაიწყეს. სპორტის ამ სახის საუკეთესო ოსტატებმა პლანერების რამდენიმე ინდივიდუალური და ჯგუფური გაფრენებით ძალიან ეფექტურად აჩვენეს უმოტორო საფრენი აპარატების მართვის ვირტუოზული ტექნიკის ნიმუშები.

ამის შემდეგ მფრინავმა ალექსეევმა უ-2 თვითმფრინავით აჩვენა ნომერი: „მოწაფის პირველი დამოუკიდებელი გაფრენა თვითმფრინავით". ეს საავიაციო შარჟი იყო. ალექსეევი მართვის დროს განგებ უშვებდა უხეშ შეცდომებს, არაბუნებრივ მდგომარეობაში აყენებდა თვითმფრინავს, ზუსტად გამოუცდელ მოწაფესავით იქცეოდა. მოწაფეს, რასაკვირველია, ძვირად დაუჯდებოდა ყოველივე ეს! მაგრამ დახელოვნებული მფრინავის ხელში მანქანა მორჩილად ასრულებდა ყველაზე უფრო უაზრო ესკაპადებს და ბოლოს ისეთი ხტუნვით დაეშვა ძირს, რომ იფიქრებდი, სულ ერთიანად ნამსხვრევებად იქცევაო.

ეს გაფრენა ყველას ძალიან მოეწონა. სტუმრები იცინოდნენ და ტაშს უკრავდნენ.

ამის გარდა, მფრინავ ალექსეევს იგივე მანქანით უნდა ეჩვენებინა „შტოპორი" და ძირს დაშვება „შტოპორის" უკანასკნელი ხვეულადან გამოსვლის შემდეგ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს ილეთი მრავალგზის ნაცადი იყო. მაგრამ ალექსეევი ძალიან გაიტაცა ტრიუკმა: „შტოპორის" რამდენიმე ხვეულის შემდეგ მას მანქანა ამ მდგომარეობიდან უნდა გამოეყვანა. ალექსეევმა კი ალბათ მიწასთან კიდევ უფრო მიახლოვება გადაწყვიტა და თავზარდაცემულებმა დავინახეთ, თუ როგორ ჩაიკარგა „შტოპორის" მდგომარეობაში მყოფი თვითმფრინავი მდინარე მოსკოვის ციცაბო ნაპირს იქით. მფრინავის დალუპვა გარდუვალი იყო. შადრევნად ამოსროლილმა შხეფებმა მიგვახვედრა, რომ უ-2 მდინარეში ჩავარდა. ავტომანქანებმა სასწრაფოდ მიაშურეს მდინარეს. ყველა დაძაბული ელოდა შედეგს. ლოდინი დიდხანს არ გაგრძელებულა. მოვიდა სანიტარული მანქანა და ყველანი სახტად დარჩნენ, როდესაც იქიდან ცოცხალი, უვნებელი, ძლიერ დარცხვენილი მფრინავი ალექსეევი გამოვიდა და ვოროშილოვს უპატაკა:

— ამხანაგო სახალხო კომისარო! მფრინავმა ალექსეევმა ავარია განიცადა.

მან იმით ახსნა თავისი მარცხი, რომ „შტოპორიდან" გამოსვლის წინ სატერფულზე ფეხი დაუცდა.

ცხადია, ეს გულუბრყვილო თავისმართლება იყო. ფაქტიურად, თავგასულმა მფრინავმა უხეში შეცდომა დაუშვა. მაგრამ ყველას უხაროდა, რომ იგი ცოცხალი გადარჩა. სტალინი მივიდა მასთან, ხელი ჩამოართვა და გადაეხვია.

შემდეგ ახალი სპორტული და სასწავლო თვითმფრინავები გვიჩვენეს. ისინი, მათ შორის ჩვენი უტ-2-ც, ზედიზედ აფრინდნენ ჰაერში და სოფელ პავშინოს მიმართულებით გაეშურნენ. პავშინოს თავზე, 150-200 მეტრ სიმაღლეზე, ისინი ერთ ხაზზე გამწკრივდნენ, აეროდრომის საზღვარს მოუახლოვდნენ, აქ კი მფრინავებმა მთელი ძალით ჩართეს მოტორები. მანქანები მკვეთრად უმატებდნენ სიჩქარეს და ერთიმეორეს უსწრებდნენ. ყველაზე ადრე სასწავლო თვითმფრინავი, „მოხუცი" უ-2 ჩამორჩა. შემდეგ სხვებიც ჩამორჩნენ. უტ-2 წინ გამოიჭრა და პირველმა გადაუქროლა აეროდრომის ცენტრს.

სტალინმა იკითხა, ვისი მანქანააო. მოახსენეს, რომ მანქანა იაკოვლევის კონსტრუქციისა. ვოროშილოვმა სტალინთან წარმადგინა.

ძირს დაშვების შემდეგ პიონტკოვსკიმ იმ ადგილისაკენ წაიყვანა მანქანა, სადაც სტალინი და ვოროშილოვი იდგნენ. ჩვენ აღელვებულნი და გახარებულნი მოვუთხრობდით მათ ჩვენს თვითმფრინავსა და მის თავისებურებებზე.

სტალინი ახლოს მივიდა მანქანასთან, ფრთაზე თითით დააკაკუნა.

— ხეა? — იკითხა მან.

— ძირითადად ფიჭვი და არყის ხის ფანერაა, — ვუპასუხე.

— როგორია მისი მაქსიმალური სიჩქარე?

— 200 კილომეტრი საათში.

— უ-2 თვითმფრინავს რა სიჩქარე აქვს?

— 150.

— რომელი მანქანით ჯობს ი-16 გამანადგურებლის მფრინავთა მომზადება? უ-2-ით თუ ამით? — ჰკითხა სტალინმა ირგვლივ შემოკრებილ მფრინავებს.

— რასაკვირველია, ამით, — ერთხმად ახმაურდა ყველა.

— რატომ?

— ამას ხომ დიდი სიჩქარე აქვს და, ესეც ი-16-ვით მონოპლანია, უ-2 კი — ბიპლანი.

— მაშასადამე, ამ, უფრო თანამედროვე მანქანებზე უნდა გადავიდეთ.

— მართალია, — ერთხმად უპასუხეს მფრინავებმა.

— რომელ ქარხანაში ააგეს თქვენი მანქანა? — მომმართა სტალინმა.

— ლენინგრადის გზატკეცილზე მდებარე საწოლების სახელოსნოში.

— რაო? — საწოლებისაო?!

და მე მოკლედ ვუამბე, როგორი სიძნელეები გადავლახეთ და როგორ აღმოჩნდა ჩვენი საკონსტრუქტორო კოლექტივი საწოლების სახელოსნოში.

სტალინმა მოიწონა ჩვენი მუშაობა. შემდეგ იგი დაინტერესდა მოტორის სიძლიერით, მკითხა, შეგიძლიათ თუ არა თვითმფრინავის სიჩქარის გაზრდა და რა გჭირდებათ ამისათვისო. მან შენიშნა, სასწავლო მანქანები ისეთი უნდა იყოს, რომ მფრინავთა მასებმა ისინი ადვილად აითვისონო.

ზეიმი პარაშუტისტთა გადმოხტომებით დამთავრდა.

აეროკლუბის მიღწევების ჩვენება ჩინებულად ჩატარდა და მან დიდი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში მასობრივი საავიაციო სპორტის განვითარებისათვის. ჩვენი სტუმრები, დღესასწაულის მონაწილენი და ორგანიზატორები მეტად კმაყოფილნი იყვნენ. გადაწყვიტეს ამ ჩვენების სახსოვრად სურათის გადაღება. დიდმა ჯგუფმა მოიყარა თავი. და აი, ფოტოგრაფებმა, კინოოპერატორებმა მისკენ მიმართეს თავიანთი ობიექტივები. მახსოვს, ცოტა ხნით ჩემს თვითმფრინავთან შევყოვნდი და ამიტომ დავაგვიანე; როცა მივედი, მთელი ჯგუფი უკვე შეკრებილი იყო. შევცბუნდი. სტალინმა თითით მანიშნა, ჩემს ახლო დაჯექიო. მივედი. დავჯექი. მან მხარზე დამადო ხელი. ასე აღგვბეჭდა ფოტოგრაფმა ჩემი ცხოვრების ამ ნიშვნელოვან მომენტში.

აღნიშნული შეხვედრის დროს მე პირველად ველაპარაკე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, გავეცანი სტალინს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

● სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატი ●



მარცხის მიუხედავად...

თბილისი. სპორტის სასახლე. 18 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 91:93 (40:37, 78:78, 88:88).

„დინამო“: ხინჯარაძე (3), ბოროდაჩევი (2), გრძელიძე (11), ბიჭიაშვილი (4), ჩიხლაძე (18), ნ. ქორქია (8), დერიუგინი (16), მ. ქორქია (13), მილოვიდოვი (16).

„ჟალგირისი“: ლინკიავიჩუსი (8), არლაუსკასი (7), მასალსკისი (21), ჩივილისი (24), ბაზიუკასი (12), ვასილიაუსკასი (2), ჟუკაიტისი, ლაურიტენასი (4), ხომიჩუსი (8), ვალიკონისი, იოვაიშა (17).

მსაჯები: მ. დავიდოვი (მოსკოვი), ი. აპოლონოვი (ლენინგრადი).

თბილისელებმა მატჩი მიხეილ ქორქიას გარეშე დაიწყეს. კარგა ხანს მოედანზე ძირითადად იქვსი კალათბურთელი — გრძელიძე, ბიჭიაშვილი, ჩიხლაძე, ნ. ქორქია, დერიუგინი, მილოვიდოვი — თამაშობდა. მე-12 წუთამდე, იქამდე, სანამ კაპიტანი ჩაერთვებოდა თამაშში, შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბრძოლის სურათი არც მერე შეცვლილა — ტაიმი მასპინძლებმა 3 ქულით მოიგეს — 40:37.

პირველ 20 წუთში ორი სასიამოვნო ფაქტის აღნიშვნა შეიძლებოდა — წინა მატჩებთან შედარებით გაბედულად ამოქმედდა მილოვიდოვი და საკუთარ ფარქვეშ ძალზე ეფექტურად ითამაშა დერიუგინმა — ასხლეტილი ბურთების მეტი წილი მისი საკუთრება ხდებოდა.

საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმი. კაუნასელთა ლიდერი, ქვეყნის ნაკრების წევრი იოვაიშა გვერდიდან არ სცილდება თბილისელთა კაპიტანს. ამ, ალბათ მთავარ დუელში, შესამჩნევ უპირატესობას ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ მიაღწია და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ეს თანაფარდობა ანგარიშსაც დაეტყო — 44:44, 52:52, 62:62.

32-ე წუთიდან „დინამომ“ დერიუგინისა და მ. ქორქიას გარეშე გააგრძელა შეხვედრა — მწვრთნელებმა გადამწყვეტი მომენტისათვის შემოინახეს სპორტსმენები. „სვლა“ უთუოდ სწორი იყო — ქორქიას დაღლა დაეტყო, დერიუგინს კი 4 პერსონალური შენიშვნა დაუგროვდა. გუნდის ლიდერები მოედანს ძირითადი დროის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე დაუბრუნდნენ, ამასობაში „ჟალგირისმა“ 4 ქულით დაწინაურება მოახერხა.

სულ რაღაც წუთში თბილისელებმა სხვაობა შეამცირეს და, მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე შენიშვნის გამო მოედანი დასტოვა დერიუგინმა, დაწინაურდნენ კიდეც.

უკანასკნელი წუთი. ანგარიშია 78:76 „დინამოს“ სასარგებლოდ, ბურთი ჩვენებს აქვთ. დარჩენილ 24 წამში ლიტველებმა იერიშის მოგერიებაც მოახერხეს და ანგარიშის გათანაბრებაც.



პირველმა დამატებითმა 5-წუთიანმა ტაიმმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 88:88.

მეორე დამატებითი ტაიმის უკანასკნელ წუთზე სიტუაცია განმეორდა, ოღონდ ახლა ორი ქულით წინ „ჟალგირისია“. დარჩენილ 23 წამში „დინამომ“ ყველაფერი იღონა, მაგრამ ბურთის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა.

91:93. მართლაც რომ დასანანი მარცხია.

„დინამომ“ 5 მატჩის შემდეგ 9 ქულა დააგროვა, I ადგილი დაიკავა თბილისის ტურში და უკმაყოფილების საბაბიც არ უნდა გვქონდეს, მით უმეტეს, რომ გუნდში სულ ახლახან მოსულმა ახალგაზრდა კალათბურთელებმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს.

ტურის ბომბარდირი გახდა 33 წლის ვ. გუზიკი (რტი) — 120 ქულა, II ადგილზეა ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი მ. კოჟელიანკო („სტროიტელი“) — 104, III — ა. დუდოროვი (ვეფ-ი) — 102.

ბ. ირემაძე.

●

„დინამოსა“ და „ჟალგირისის“ მატჩის წინ სპორტის სასახლეში მოსულმა მაყურებელმა, დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ კიდევ ერთხელ მიულოცეს სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ს. თორთლაძეს დაბადების 60 წლისთავი. მარცხენა ფოტოზე აღბეჭდილია მატჩის დაწყების მომენტი. ხადავო ბურთის აგდების პატივი ღვაწლმოსილ მწვრთნელს ხვდა წილად; ვეფ-ისა და რტი-ს გუშინწინდელი მატჩის ერთ-ერთი მომენტი; ასეთი სიტუაციები არც თუ იშვიათი იყო თბილისის „დინამოსა“ და „ჟალგირისის“ შეხვედრაში (ზევით).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

საუკეთესოდ ჩაატარეს

თბილისი. სპორტის სასახლე. 19 დეკემბერი.

რტი — „სტატიბა“ 89:93 (55:49).

რტი: გუზიკი (26), კრასნიცკი (20), მათ გარდა ითამაშეს იაკუბენკომ, კნატკომ, პოპკოვმა, სატიროვმა, შერევერიამ, კრავჩენკომ, პუსტოგვარმა, ეფიმოვმა.

„სტატიბა“: გირსკისი (23), ვაიტკუსი (22). მათ გარდა ითამაშეს პალენისმა, ანდრიუნასმა, ნარმანტასმა, პაშაკარნისმა, კაზლაუსკასმა, დეიმანტავიჩუსმა, ბალოჩკამ, ურბამ.

მსაჯები: მ. დავიდოვი, ვ. ზაიცევი (ორივე — მოსკოვი).

მინსკელები რომ შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ, ადრეც აღვნიშნეთ. ამ მატჩში მათ ყველაფერი იღონეს, რათა მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ, საფინალო სასტვენამდე ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, მაგრამ ვილნიუსელებმა ამ დღეს ტურის საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და ძნელი გამარჯვება მოიპოვეს.

რევანში შედგა

თბილისი. სპორტის სასახლე. 18 დეკემბერი.

„სტროიტელი“: (კიევი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 80:95 (43:42).

„სტროიტელი“: კორობკოვი (გუნდს შესძინა 22 ქულა), კოჟელიანკო (19). მათ გარდა ითამაშეს რიჟოვმა, მარტინოვმა, ხმოლიაკოვმა, შაპტალამ, შევჩენკომ, კორობკოვმა, კრიჟანოვსკიმ.

„სტატიბა“: გირსკისი (20), ანდრიუნასი (17), ვაიტკუსი (16). მათ გარდა ითამაშეს ნარმანტასმა, ურბამ, კაზლაუსკასმა, ბალოჩკამ, სმირნოვმა, პაშაკარნისმა.

მსაჯები: გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი), ო. გორბატოვი (კუიბიშევი).

თანაბარი ბრძოლა მხოლოდ მატჩის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა. შესვენების შემდეგ კი ვილნიუსელთა უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა: ვაიტკუსისა და ჩირსკის ტყორცნები სულ უფრო ხშირად აღწევდა მიზანს და ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნებმა რევანში აიღეს შარშანდელი მარცხისთვის.

□

რიგელთა უპირატესობით

თბილისი. სპორტის სასახლე. 18 დეკემბერი.

ვეფ (რიგა) — რტი (მინსკი) 98:92 (51:43).

ვეფ: ბალოდისი (20), ნაზაროვი (18), მათ გარდა ითამაშეს ზვანსმა, კალნინშმა, ჩირკოვმა, ვალტერსმა, ჟვიგურსმა, კრიშტოპანსმა, დუდოროვმა, ვისოცკისმა, ბირზნიეკსმა.

რტი: გუზიკი (23), იაკუბენკო (16). მათ გარდა ითამაშეს კნატკომ, პოპკოვმა, კრასნიცკიმ, სატიროვმა, შერევერიამ, კრავჩენკომ, პუსტოგვარმა, ეფიმოვმა.

მსაჯები: მ. გრიგორიევი, ვ. ზაიცევი (ორივე — მოსკოვი).

მატჩი რიგელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მინსკელებმა მხოლოდ ერთხელ—35-ე წუთზე — მოახერხეს სხვაობის 3 ქულამდე შემცირება. შემდეგ სტუდენტთა მთავარმა ბომბარდირმა — გუზიკმა 5 პერსონალური შენიშვნა მიიღო და ბელორუსელთა ისედაც მცირე იმედსაც საფუძველი გამოეცალა...



თბილისის ტური
საბოლოო ცხრილი

	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ თბ.	4	1	421—412	9
„სტატიბა“	3	1	363—336	7
„ჟალგირისი“	3	1	365—357	7
ვეფ	2	3	460—455	7
„სტროიტ.“	1	4	440—457	6
რტი	1	4	422—444	6

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის „ჟალგირისისა“ და „სტატიბას“ მატჩის შედეგი. იგი მოგვიანებით, 1980 წლის იანვარში გაიმართება.

ტალინის ტური

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ტალინის ტურის ბოლო შეხვედრები: ცსკა — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 88:71 (48:32), „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“ (ტალინი) 96:93 (53:49), ასკ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 126:103 (72:45).

საბოლოო ცხრილი

	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	5	0	512—374	10
„დინ.“ მოსკ.	3	2	550—499	8
„სპარტაკი“	3	2	434—423	8
ასკ კიევი	3	2	503—502	8
„ლოკომ.“	1	4	398—524	6
„კალევი“	0	5	347—412	5

თბილისური შთაბეჭდილებები

დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტური, რომელსაც სსრ კავშირის სპორტული ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი ესწრებოდა. მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სტუმართა აზრი თბილისის ტურის შესახებ.

ს. გლეზუსი, ლიტვის სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი კალათბურთში:

როგორც კი თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოვდგით ფეხი, მაშინვე ვიგრძენით მასპინძელთა ყურადღება და სითბო. ტური კარგად იყო ორგანიზებული. რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა, მისმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მატჩები მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

ვნახეთ საინტერესო თამაშები. შეხვედრები ხშირად 1-3 ქულის სხვაობით მთავრდებოდა, რაც ორთაბრძოლების სიმძაფრეზე მიუთითებს.

ძალიან მომწონს თბილისელი მაყურებელი. სპორტის სასახლის ტრიბუნები ყოველთვის სავსე იყო. შინაურულად გეტყვით, რომ ისეთი კარგი გულშემატკივარი, როგორც თბილისსა და კაუნასს ჰყავს, არსად მინახავს.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩები ყოველდღე იმართებოდა და თავისუფალი დრო ძალიან ცოტა გვქონდა, მაინც მოვახერხეთ ასვლა მთაწმინდაზე. ვნახეთ ვახტანგ გორგასლის ძეგლი, დავათვალიერეთ უნივერსიტეტი. ვიყავით მცხეთაში. თბილისში მესამედ ვარ. უკანასკნელად ათი წლის წინათ ვიყავი. მას შემდეგ ბევრი რამ შეცვლილა, აშენებულა. ქართულ სუფრასა და მასპინძლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მოკლედ, ყველაფრით კმაყოფილი ვარ, ყველაფერი საინტერესო იყო.

გ. მუხამეძიანოვი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი:

თბილისის ტურში თითქმის თანაბარი ძალის კოლექტივები მონაწილეობდნენ. ამან სპორტულად უფრო საინტერესო გახადა ასპარეზობა. მატჩები ისე დაძაბულად მიმდინარეობდა, რომ წინასწარ ძნელი იყო გამოცნობა, ვინ გაიმარჯვებდა. თბილისის „დინამოს“ თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც ჩანს, გუნდი თანდათან იბრუნებს თავის სპორტულ ფორმას. აღსანიშნავია ახალგაზრდების თამაში. ისინი კარგად უბამენ მხარს ვეტერანებს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, სპორტკომიტეტმა დიდი ყურადღება დაუთმეს ჩემპიონატის მატჩების ორგანიზაციას. ყველაფერი მაღალ დონეზე იყო მომზადებული. თბილისელი მაყურებლის შესახებ არაფერს ვამბობ. მათი ნამდვილად კარგი გულშემატკივრობა ყველასთვის ცნობილია.

თბილისში პირველად არ ვარ. საინტერესოა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ნახვაც. ჩვენ კახეთში ვიყავით — საგარეჯოში. იქაური სტუმართმოყვარეობა გასაოცარია.

ვ. კუდრიაშოვი, საკავშირო სპორტკომიტეტის სპორტთამაშების სამმართველოს უფროსი:

ტური ძალზე კარგად და საინტერესოდ იყო ორგანიზებული საქართველოს სპორტკომიტეტის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ. საწყენია, რომ გუნდებმა მთლიანად ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ სეზონი ეს-ეს არის დაიწყო. ვფიქრობ, სპორტსმენები თანდათან შევლენ ფორმაში და თამაშიც უფრო საინტერესო გახდება. თბილისში ჩამოსული კოლექტივები თითქმის თანაბარი სიძლიერის არიან. გამოვყოფდი თბილისის „დინამოს“, რომელსაც უკეთესი თამაშის წყალობით შედეგიც უკეთესი აქვს.

სასიამოვნოა, რომ მაყურებელი თავის გუნდს უჭერს მხარს, მაგრამ არც მოწინააღმდეგის კარგი თამაში რჩება ყურადღების გარეშე, აფასებს მას. ეს სიმპათიები ჩანდა თბილისელ გულშემატკივართა მოქმედებაში.

ვ. ხრინინი, საკავშირო სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი კალათბურთში:

მართალი გითხრათ, უფრო უკეთეს კალათბურთს მოველოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გუნდები ჯერ შორს არიან ჩვეული სპორტული ფორმისაგან. რაც შეეხება დასვენების და მატჩების ჩატარების საკითხს, იგი კარგად იყო მოგვარებული — ვფიქრობ, ყველა კმაყოფილია.

სტუმრებს ესაუბრა
ლ. ცხვარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა







„ბავშვთა სამყარო“







„ჩვენ ყველანი იმ დიდი და ნათელი სამყაროდან ვართ მოსულნი, სადაც ზღაპარი უფრო სარწმუნო იყო, ვიდრე სინამდვილე, იქ საგნებსა და მოვლენებს სულ სხვა ელფერი ჰქონდათ, სხვა სილამაზე და თავისთავადი მნიშვნელობა. იგი დღესაც არსებობს ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მისი მკვიდრნი არიან, იმ სამყაროსი, რომელიც ჩვენ უკვე კარგა ხანია დავივიწყეთ, ან ბუნდოვნად გვახსოვს. ამ მარადიული სინათლისა და სიმართლის სამყაროს ბავშვობა ჰქვია“.

ვახუშტი კოტეტიშვილის ამ სიტყვებით იწყება გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ დასტამბული ალბომის — „ბავშვთა სამყაროს“ შესავალი წერილი.

ალბომი ბავშვის საერთაშორისო წელს ეძღვნება. მისი შემდგენელია ავთანდილ კუხიანიძე, ხოლო რედაქტორი — ოთარ ეგაძე.

„ბავშვთა სამყაროში“ თავმოყრილია მრავალრიცხოვანი ნორჩის 142 ნახატი. ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ბავშვთა ხელოვნების მუზეუმშია დაცული ან გამოფენილი. ალბომში შესულ ავტორთაგან ყველაზე უმცროსია 3 წლის ნანა კაში. ყველაზე უფროსები კი 11-12 წლისანი არიან.

ისინი გატაცებით, საოცარი ფანტაზიით ხატავენ თავიანთი სოფლის სურათებს, კოხტად მორთულ ნაძვის ხეს, საპირველმაისო დემონსტრაციებს, შრომისა და დასვენების სურათებს, ფრინველებს, ცხოველებს... ზოგიც ბებიის მიერ ნაამბობი ზღაპრის შთაბეჭდილებებით ხატავს ნაცარქექიას, წითელქუდას თუ ცხრათავა დევს.

ნორჩთა შთაბეჭდილებებზე ღრმა კვალი დაუტოვებია სხვადასხვა სპორტულ პაექრობებსაც.

არის ტანვარჯიში, ცურვა, სათხილამურო სპორტი, ციგურაობა, კალათბურთი, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების სიმბოლო — დათუნია და, რა თქმა უნდა, ფეხბურთიც.

კვლავ „ბავშვთა სამყაროს“ შესავალი წერილიდან ამოკრეფილი ვახუშტი კოტეტიშვილის სიტყვები: „უამრავი წიგნი ვიცით, სადაც მწერლები იხსენებენ თავიანთ ბავშვობას და საკუთარ განცდილს აგვიწერენ დიდი ოსტატობითა და დამაჯერებლობით. მაგრამ ეს ყოველივე მოზრდილი ადამიანის გონების პრიზმაშია გამოვლილი, მას უკვე სხვა დაღი აზის, იგი მაინც მოწიფული აზროვნების ნაყოფია. აქ კი ჩვენ უშუალოდ ვგრძნობთ ამ სამყაროს, არა გახსენებათა, მოგონებათა აღწერით, არამედ იმ განცდათა სამყაროს, რომელიც მოგონებად ჯერ კიდევ არ ქცეულა, ვინაიდან თვით ბავშვების მიერ არის შექმნილი. სწორედ ეს ანიჭებს ამ ნამუშევრებს განსაკუთრებულ ფასეულობასა და განუმეორებლობას.

რაოდენ დიდი მადლობის ღირსია ყველა ის, ვინც ეს დიდებული საქმე წამოიწყო, თავი მოუყარა ბავშვების, უაღრესად მართალ ხელოვანთა ნამუშევრებს და ჩვენ მოგვანიჭა ბედნიერება ამ საოცარი სამყაროს ხილვისა კვლავ, დიდი ხნის წინათ არსებული ბავშვობის შემდეგ“.

ა. რაჭველიშვილი.

● ფეხბურთი

ა. მილჩენკო — ფიფა-ს არბიტრი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში ცნობა მოვიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან: სოხუმელ არბიტრს ანატოლი მილჩენკოს მიენიჭა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება.

ახალგაზრდობის წლებში ა. მილჩენკო თამაშობდა ფეხბურთს, გამოდიოდა რესპუბლიკურ პირველობაზე ბორჯომის „განთიადში“, თბილისის არმიელთა გუნდში, შემდეგ, უკვე საკავშირო პირველობაზე — „ბ“ კლასში.

როგორც მსაჯი, საკავშირო სარბიელზე ა. მილჩენკო გამოჩნდა 1967 წელს, 1971 წელს გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც მთავარმა არბიტრმა ჩაატარა ათეულზე მეტი მატჩი. პირველი „საერთაშორისო ბალი“ მიიღო ფინეთ—დანიის გუნდების ოლიმპიური შესარჩევი მატჩების მსაჯობისთვის, ხოლო მეორე — ჩეხოსლოვაკია-ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდების შეხვედრის ჩატარებისათვის. იაპონიაში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის მატჩი მექსიკისა და ალჟირის გუნდებს შორის სწორედ ა. მილჩენკოს ანდეს.

ა. მილჩენკომ ჩაატარა სსრ კავშირის ჩემპიონატების 150-მდე მატჩი უმაღლეს ლიგაში, იყო 1977 წლის სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩის მთავარი არბიტრი, შვიდჯერ შედიოდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო არბიტრთა სიაში, დაჯილდოებულია ვერცხლისა და ოქროს მედლებით უმაღლეს ლიგაში 80 და 100 მატჩის ჩატარებისთვის.

ა. მილჩენკო ამჟამად სოხუმის ტურისტული სასტუმროს „სოხუმის“ დირექტორად მუშაობს.

ფინალში გავიდნენ

გაიმართა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები ფეხბურთში.

აფხაზეთის უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა სოხუმში დიდი ანგარიშით დაამარცხეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი — 5:0. მართალია, ინსტიტუტელებმა განმეორებით შეხვედრაში რევანში აიღეს (2:0), მაგრამ ორი მატჩის ჯამში გამარჯვება წილად ხვდათ სოხუმელებს.

ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შეხვედრები. ბათუმში მეტოქეებმა ფრედ ითამაშეს—0:0, შემდეგ კი პოლიტექნიკოსელებმა გამარჯვებას მიაღწიეს მინიმალური უპირატესობით — 1:0.

ამრიგად, უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური თასის ფინალში გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და აფხაზეთის უნივერსიტეტის გუნდები. მათი გადამწყვეტი შეხვედრა 22 დეკემბერს გაიმართება თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე. დასაწყისი 14 საათზე.



ბელგია

XVII ტურის შემდეგ ბელგიაში მცირე შესვენება გამოცხადდა, რომელიც 5 იანვრამდე გაგრძელდება.

ახლა „ლოკერენს“ 28 ქულა აქვს, „ფკ ბრიუგეს“ 24, „მოლენბეკს“ — 22, ლიეჟის „სტანდარდს“ — 21.

ჩეხოსლოვაკია

XV ტურით დასრულდა პირველი წრე. 23 ქულით გაიმარჯვა პრაღის „ბოჰემიანსმა“. 4 ქულით ნაკლები აქვს ოსტრავის „ბანიკს“, 18 ქულა — ბრნოს „ზბროიოვკას“.

მხოლოდ 16-16 ქულა მოაგროვეს პრაღის „დუკლამ“ და „სლავიამ“.

უნგრეთი

დასასრულს უახლოვდება პირველი წრე. 22 ქულით პირველ ადგილზეა ბუდაპეშტის „ჰონვედი“, რომელმაც XV ტურში შინ სძლია „ვიდეოტონს“ — 2:0. 20 ქულით მეორე ადგილზეა ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“, 19-19 ქულა აქვთ ბუდაპეშტის „ვაშაშს“ და „ვიდეოტონს“.

რუმინეთი

XIX ტურის შემდეგ ბუქარესტის „სტიაუას“ 27 ქულა აქვს, კრაიოვას „უნივერსიტატიას“ — 25, ბუქარესტის „დინამოს“ და პიტეშტის „არჯეშს“ — 23-23.

სასჯელი... ვიდეოჩანაწერის მიხედვით

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ მატჩის სატელევიზიო ვიდეოჩანაწერი ან ფილმი შეიძლება იქცეს მოთამაშეთა დასჯის საფუძვლად, თუ მათი უხეშობა არბიტრმა ვერ შენიშნა თამაშის მსვლელობაში.

ყოველთვიურ გამოშვება „ფიფა ნიუსში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ნათქვამია: „მოთამაშეები, რომელთა უხეშობა დადასტურდება ვიდეოჩანაწერით ან ფილმით, შეიძლება დასჯილი იქნენ გარკვეული დროის გავლის შემდეგაც ამა თუ იმ მატჩის შემდეგ“. სტატიაში მოყვანილია მაგალითი, როცა გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ ამას წინათ დისკვალიფიკაცია მისცა ერთერთ ფეხბურთელს მხოლოდ ვიდეოჩანაწერის საფუძველზე.

„ფიფა ნიუსი“ აღნიშნავს, რომ სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ფიფა-მ ჩაატარა მრავალი ექსპერიმენტი, რათა დაედგინა ვიდეოჩანაწერის უტყუარობა ასეთ შემთხვევებში.

● ტანვარჯიში

რესპუბლიკის თასზე

გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სკოლის სპორტულ დარბაზში სტარტი აიღო ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებამ რესპუბლიკის თასზე.

პირველ დღეს ასპარეზობის მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სავალდებულო ვარჯიშების შესრულებაში. ქალთა შორის სპორტის ოსტატთა პროგრამით კარგად იასპარეზა განთიადელმა ა. ბაბასიანმა, რომელმაც დააგროვა 37,25 ქულა. 36,25 ქულით II იყო დინამოელი ე. გოლოვატენკო, III — ი. ხატიაშვილი („დინამო“) — 35,35.

ვაჟთა შორის დაწინაურდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მ. თათარაძე (ასკ)—55,4. განთიადელმა პ. ლეონტიევმა დააგროვა 54,0 ქულა, არმიელმა კ. სულთანიშვილმა — 51,45.

იუნიორ გოგონებში დაწინაურდნენ მ. ხუციშვილი, ე. ზეთურიძე და ლ. თაყნიაშვილი (ყველა— „ბურევესტნიკი“), ჭაბუკებში ვ. გოგოლაძე („ლოკომოტივი“), ზ. ხომასურიძე და ა. ბერიანიძე (ორივე — ასკ).

დღეს რესპუბლიკის თასზე შეჯიბრების მონაწილენი იასპარეზებენ ნებისმიერი პროგრამით.

ა. ზენკო.

● ხელბურთი

„სუპერთასის“ მოსაპოვებლად

გფრ-ის ქალაქ დორტმუნდში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი „სუპერთასის“ მოსაპოვებლად. მასში ასპარეზობენ სსრ კავშირის, იუგოსლავიის, რუმინეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდები. ეს ის გუნდებია, რომლებმაც ბოლო წლებში მოიპოვეს მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა. პირველ მატჩში საბჭოთა ნაკრებმა სძლია იუგოსლავიას — 19:16, ხოლო რუმინეთმა — გფრ-ს — 16:15.

● ავტოსპორტი

ქალი... ვაჟთა შორის უძლიერესი

გაიმართა ყირგიზეთის პირველი ჩემპიონატი საავტომობილო მრავალჭიდში. ფრუნზეს ბაზებზე ყველაზე კარგად იასპარეზა ტურნირის ერთადერთმა მონაწილე ქალმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ტერენტიევამ, რომელმაც ფინალში 28 ვაჟის დამარცხება შეძლო.

გუშინ

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა რუმინეთისა და საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა სამატჩო შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 8:1.

სპორტის მოყვარულთა საყურადღებოდ

შაბათს, 22 დეკემბერს საქართველოს ტელევიზია გადასცემს სპორტულ სანახაობათა საინტერესო პროგრამას. 12 საათსა და 55 წუთზე ნაჩვენები იქნება ფეხბურთელთა X ჩემპიონატის ფინალური მატჩის პირველი ტაიმი არგენტინისა და ჰოლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის, ხოლო 16 საათზე ამ შეხვედრის დანარჩენი ნაწილი.

22 საათსა და 35 წუთიდან ცისფერი ეკრანი დაეთმობა მოსკოვის პროგრამას — მოჭადრაკე ქალთა რიო-დე-ჟანეიროს საზონათაშორისო ტურნირის შედეგების შემდეგ საქართველოს ტელევიზიის პროგრამით გადაიცემა სპორტული კალეიდოსკოპი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26: სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02498